ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება

სიჭინავა მარიამი

ელ-ფოსტა: mariami.sichinava385@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ზვავების შესწავლის მოკლე ისტორია. განხილულია ზემო სვანეთის რელიეფი, კლიმატური პირობები და მცენარეული საფარი. განხილულია ზვავსაწინააღმდეგო აქტიური და პასიური ღონისძიებები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება, სტიქიისგან თუ ანთროპოგენური მოქმედების შედეგად განადგურებული ტყის საფარის აღდგენასა და არსებული ტყის მასივის შენარჩუნებას ენიჭება.

თოვლის ზვავი ბუნების მრისხანე მოვლენაა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს მთის მოსახლეობას და ქვეყნის ეკონომიკას. საქართველოს ტერიტორიის 56 % ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს და ამდენად ამ მოვლენის შესწავლა, ბუნებრივი კომპონენტების ძირითადი ელემენტების მთელი კომპლექსების ღრმა ანალიზი, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებანი და შევაფასოთ მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების ხარისხი.

ზემო სვანეთი, სადაც 135 სოფლიდან 61-ს ზვავები ემუქრება, ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო მაღალმთიან რაიონს წარმოადგენს, გამოირჩევა საბადოების სიუხვით, ხე-ტყით, წყალუხვი მდინარეებით, მთის ანკარა წყაროებითა და მინერალური წყლებით, მატერიალურ-კულტურული უნიკალური ძეგლებით, ციხე-კოშკებით. ყოველივე ეს შესანიშნავ პირობას ქმნის ტურისტული ინდუსტრიის და ასევე სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ზვავების შესწავლის მოკლე ისტორია. განხილულია მისი გადაჭრის გზები.